



საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება

№ 9-996

„18“ დეკემბ. 2013

ქ. თბილისი

„საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების ამოქმედებასთან დაკავშირებით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

„საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილებისა და „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 დეკემბრის №485 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების ამოქმედებასთან დაკავშირებით, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა უზრუნველყოს ზემოაღნიშნული დადგენილების დანართით გათვალისწინებული ნუსხით განსაზღვრული 2013 წლის 1 იანვრიდან შექმნილი ინფორმაციის გამოქვეყნება სამინისტროს ელექტრონულ ვებგვერდზე ამა წლის 31 დეკემბრამდე, იმდაგვარად, რომ შესაძლებელი იყოს განთავსებული ინფორმაციის ჩამოტვირთვა, ბეჭდვა და კოპირება ინფორმაციის დაკარგვის ან/და დაზიანების გარეშე და პერიოდული განახლება თარიღის მითითებით.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დავალების შესრულების მიზნით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს დაევალოთ დანართის შესაბამისად, დადგენილი ვადების დაცვით უზრუნველყონ მათთან არსებული ინფორმაციის წარდგენა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტში.

3. ამ ბრძანების დანართით გათვალისწინებული ინფორმაციასთან ერთად სამინისტროს ცენტრალური აპარატის ყველა სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა და ტერიტორიულ ორგანოებს დაევალოს საკუთარი საქმიანობისა და კომპეტენციის ფარგლებში დამატებით, პროაქტიულად გამოქვეყნების მიზნით მიაწოდოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს საზოგადოებრივი ინტერესის შემცვლელი სხვა საჯარო ინფორმაცია.

4. დაევალოთ სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს უზრუნველყონ „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილებით გათვალისწინებული ინფორმაციის გამოქვეყნება საკუთარ ელექტრონულ ვებგვერდზე დადგენილი წესით.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

შალვა ფიფია

